



მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №215

2016 წლის 29 ნოემბერი


ქ. მცხეთა

მცხეთის მუნიციპალიტეტში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ გათვალისწინებული ასიგნებებიდან გამონთავისუფლებული თანხით (108.2 ათ ლარი) ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მეორე ნაწილის, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 04 თებერვლის №54 დადგენილების მე-3 მუხლის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტისა და მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2016 წლის 29 ნოემბრის №08/1/5405 მომართვის საფუძველზე,

1. მცხეთის მუნიციპალიტეტში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში გათვალისწინებული კონკრეტული სოფლების ასიგნებებიდან დარჩენილი ეკონომიები და აუთვისებელი თანხები (სულ 108.2 ათ ლარი) გადანაწილდეს დანართის შესაბამისად.
2. განკარგულების შესახებ ეცნობოს მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას.
3. განკარგულება ძალაშია გაცნობისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება, გასაჩივრდეს მცხეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში. მცხეთა, სამხედროს ქ №17.

საკრებულოს თავმჯდომარე



ჯემალ სოლოღაშვილი

დანართი

დამტკიცებულია მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2016 წლის 29 ნოემბრის №215 განკარგულებით

ეკონომიებიდან მორჩენილი თანხების - 108,2 ათ. ლარის განაწილების სქემა:

1. სოფ. ქსნის საბავშვო ბაღის ინვენტარის შექმნის მიზნით - 34,5 ათ. ლარი;
2. სოფ. ერედაში საბავშვო ბაღის ინვენტარის შექმნის მიზნით 29,7 ათ. ლარი;
3. სოფ. ნიჭბისში საბავშვო ბაღის ინვენტარის შექმნის მიზნით 13,5 ათ. ლარი;
4. სოფ. ძალისის საბავშვო ბაღის ცენტრალური გათბობის მოწყობის მიზნით 30,5 ათ. ლარი.

